დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტურის (პოსტდოქტორანტად დასაქმების შესახებ) დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შინაარსს და პოსტდოქტორანტად (მიღების) დასაქმების წესსა და საქმიანობის პირობებს.

2. პოსტდოქტორანტი წარმოადგენს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე, საქმდება კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (შემდგომში - ,,პროექტი") განსახორციელებლად უნივერსიტეტის ფაკულტეტზე ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტში აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული წესითა და სამეცნიერო დარგების/მიმართულებების მიხედვით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 2. პოსტდოქტორანტურის მიზნები

1. პოსტდოქტორანტურის მიზნებია:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი მეცნიერის მხარდაჭერა, მისი უნივერსიტეტისათვის აქტუალური კვლევის განხორციელებასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართვის გზით;

ბ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების მხარდაჭერა და განვითარება;

გ) ინოვაციების გამოვლენის და სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის ხელშეწყობა;

დ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელ პირებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა.

მუხლი 3. პოსტდოქტორანტად მიღების ფორმა

1. პოსტდოქტორანტად უნივერსიტეტში მიღება ხორციელდება კონკურსის წესით, მის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საფუძველზე და მის განსახორციელებლად.

2. პოსტდოქტორანტად მიღებული არ შეიძლება იქნას პირი, რომელსაც უკავია აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა.

3. პოსტდოქტორანტად მიღება ცხადდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე შესაძლებელია გამოცხადდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებად ბეჭდვით ორგანოებში.

მუხლი 4. პოსტდოქტორანტად კონკურსის ფორმით მიღების საფუძვლები

1. პოსტდოქტორანტი საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის ფაკულტეტსა ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში.

2. ფაკულტეტზე ყოველ კალენდარულ წელს შესაძლოა მიღებულ იქნას არაუმეტეს 2 პოსტდოქტორანტისა. ზემოაღნიშნული პოსტდოქტორანტების დასაქმების მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ყოველწლიურად გამოიყოფა თითოეულ ფაკულტეტზე არაუმეტეს 2 პოსტდოქტორანტის დაფინანსება.

3. შესაბამის ფაკულტეტზე ყოველწლიურად პოსტდოქტორანტების დამატებით (ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ რაოდენობაზე ზევით) მიღება, ასევე უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში პოსტდოქტორანტის დასაქმება შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნას ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულისათვის უნივერსიტეტის ყოველი კონკრეტული წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული საერთო ხარჯებიდან.

4. კონკურსს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით აცხადებს, ატარებს და გადაწყვეტილებას უფლებამოსილი პირის პოსტდოქტორანტად მიღების შესახებ იღებს ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულის საბჭო/სამეცნიერო საბჭო.

5. საკონკურსო განცხადებაში აღინიშნება კონკურსში მონაწილეობის უფლებამოსილი პირისა და საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები, საკონკურსო ვადები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

6. პოსტდოქტორანტად კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება პირს, რომლის მიერ წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევა უკვე დაფინანსებულია სხვა ორგანიზაციის მიერ და ხორციელდება მის ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტის წარმომდგენი უფლებამოსილი პირი და ის ორგანიზაცია, რომლის ბაზაზეც ხორციელდება მისი პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევა, შეფასების დაწყების ეტაპამდე წარმოადგენენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებულ წერილობით დაპირებას, რომ უნივერსიტეტის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მიმდინარე კვლევა იქნება შეწყვეტილი და მის შედეგებზე უფლებამოსილება (საავტორო ქონებრივი უფლებები, უფლებები გამოგონებაზე, პატენტი და სხვა) ხსენებულ ორგანიზაციას არ ექნება.

7. შესაბამისი ფაკულტეტის ან დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევით ერთეულის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. პირის პოსტდოქტორანტად დასაქმების თაობაზე რექტორის გადაწყვეტილება ფორმდება შრომითი ხელშეკრულების სახით. პოსტდოქტორანტი სარგებლობს შესაბამისი შრომის

ანაზღაურებით და პოსტდოქტორანტისათვის (დასაქმებულისათვის) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებამოსილებებით.

მუხლი 5. პოსტდოქტორანტად მიღების პირობები

1. პოსტდოქტორანტად დასაქმების უფლება აქვს დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს, თუ პოსტდოქტორანტად მიღების პროცედურის დაწყებისას იგი არის არაუმეტეს 35 წლისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან გასულია არაუმეტეს 3 წლისა.

2. პოსტდოქტორანტად მუშაობის მსურველმა შესაბამის ფაკულტეტს/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს უნდა წარუდგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) გამოქვეყნებული შრომების სია;

ე) უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს, აკადემიური განათლების რომელიმე საფეხური დასრულებული აქვს და შესაბამისი აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვს უცხოენოვანი პროგრამის გავლის საფუძველზე);

ვ) პოსტდოქტორანტის სავარაუდო მეცნიერ-კონსულტანტის (უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი) თანხმობა კონსულტირება გაუწიოს პოსტდოქტორანტად დასაქმების პირს მისი საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც მოსალოდნელი შედეგების მხრივ აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პოსტდოქტორანტობის მსურველის ავტორობით/თანაავტორობით უნივერსიტეტის სახელით პრესტიჟულ, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო-კვლევითი სტატიის გამოქვეყნებას (დასაბეჭდად მიღებას), ისეთ ჟურნალში რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბაზებში და რომლის შესაბამისად CiteScore მეტია ან ტოლია 1-ის, ხოლო Impact factor მეტია ან ტოლია 0,5-ის;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);

ი) სამეცნიერო დარგის/მიმართულების ორი წამყვანი სპეციალისტის მხარდაჭერის წერილი.

მუხლი 6. პოსტდოქტორანტად მუშაობის პირობები

1. პოსტდოქტორანტად მუშაობის ვადაა 12-24 თვე.

2. პოსტდოქტორანტი, როგორც დასაქმებული, სარგებლობს საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს შრომის კოდექსის", მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე, დასაქმებულისათვის დადგენილი უფლებებითა და გარანტიებით და ვალდებულია დაიცვას ხსენებული სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

3. უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტის მიერ უნივერსიტეტში განხორციელებადი პროექტის ფარგლებში მიღწეულ სამეცნიერო პროდუქტზე ქონებრივი საავტორო უფლებების თანამესაკუთრეს ავტორთან ერთად წარმოადგენს უნივერსიტეტი. გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის უნივერსიტეტსა და პოსტდოქტორანტს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ გამოგონებას დააპატენტებს პოსტდოქტორანტი დამოუკიდებლად, უნივერსიტეტს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების პროცენტულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 50% – უნივერსიტეტს და 50% – პოსტდოქტორანტს (რაც შეიძლება შეიცვალოს პოსტდოქტორანტსა და უნივერსიტეტს შორის მოლაპარაკების საფუძველზე მხოლოდ უნივერსიტეტის სასარგებლოდ). აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტსა და პოსტდოქტორანტს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

მუხლი 7. შრომის ანაზღაურება

პოსტდოქტორანტის შრომის ანაზღაურება შესაძლებელია იყოს თვეში არაუმეტეს 800 ლარისა.

მუხლი 8. პოსტდოქტორანტის საქმიანობის შეფასება

1. პოსტდოქტორანტი, ვალდებულია საქმიანობის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, მის მიერ პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ იმ სტრუქტურულ ერთეულს, სადაც ხორციელდება მისი პროექტი.

2. პოსტდოქტორანტის ანგარიში შეიცავს ინფორმაციას მიღწეული შედეგების შესახებ (ასევე არსებობის შემთხვევაში გამოქვეყნებული ნაშრომების, კონფერენციებში მონაწილეობის, პატენტების, გამოგონებების, მაგისტრებისა და დოქტორანტების კვლევაში ჩართვის შესახებ და სხვა). ამასთან, აუცილებელია ავტორობით/თანაავტორობით უნივერსიტეტის სახელით პრესტიჟულ, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო-კვლევითი სტატიის გამოქვეყნების ან/და დასაბეჭდად მიღების დადასტურება, ისეთ ჟურნალში რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბაზებში და რომლის შესაბამისად CiteScore მეტია ან ტოლია 1-ის, ხოლო Impact factor მეტია ან ტოლია 0,5-ის.

მუხლი 9. პოსტდოქტორანტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები

1. პოსტდოქტორანტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს შრომის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის ,,შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“, ,,ეთიკის კოდექსის“, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებისა და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტის მიერ უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებადი პროექტის ან პროექტით განსაზღვრული სამეცნიერო დარგის/მიმართულების ფარგლებში არსებული კვლევის სხვა სუბიექტის ბაზაზე (სახელით) განხორციელების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა და მოითხოვოს ხსენებული პროექტის უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელების შედეგად მიღწეულ სამეცნიერო პროდუქტზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონებრივი საავტორო უფლებების გავრცელება.

მუხლი 10. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პოსტდოქტორანტი სარგებლობს უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

მუხლი 11. პოსტდოქტორანტურის ადმინისტრაციული ხელშეწყობა

პოსტდოქტორანტის საქმიანობას ხელს უწყობს უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ან/და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადმინისტრაცია.